საქართველოს პარლამენტის დადგენილება

საქართველოს მთავრობისადმი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის“ ფაკულტატური ოქმის საქართველოსთვის შესასრულებლად სავალდებულოდ აღიარების მიზნით კანონით გათვალისწინებული პროცედურების დაწყების შესახებ საქართველოს პარლამენტის რეკომენდაციის თაობაზე

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენცია“ და მისი ფაკულტატური ოქმი მიღებულ იქნა 2006 წლის 13 დეკემბერს. ამ კონვენციასა და ოქმს საქართველომ ხელი მოაწერა 2009 წლის 10 ივლისს.

საქართველოს პარლამენტის 2013 წლის 26 დეკემბრის №1888-რს დადგენილებით რატიფიცირებულ იქნა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 2006 წლის 13 დეკემბრის „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენცია“, თუმცა, იმავდროულად, არ მომხდარა ამ კონვენციის ფაკულტატური ოქმის რატიფიცირება. იგი საქართველოსთვის შესასრულებლად სავალდებულოდ აღიარებული დღესაც არ არის.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის“ ფაკულტატური ოქმის მიზანია კონვენციის განხორციელების ხელშეწყობა და მონიტორინგი. იგი ითვალისწინებს 2 პროცედურას:

ა) უფლებების აღდგენის მიზნით ინდივიდუალური საჩივრების განხილვას (საჩივარს კონვენციის წევრ სახელმწიფოში გასაჩივრების ყველა სამართლებრივი ეტაპი გავლილი უნდა ჰქონდეს) და რეკომენდაციების მიღებას;

ბ) კონვენციის უხეში და სისტემატური დარღვევის საიმედო მტკიცებულების გამოძიებას და რეკომენდაციების მიღებას.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის“ ფაკულტატური ოქმის რატიფიცირება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს და მათ წარმომადგენელ ორგანიზაციებს ინდივიდუალური ადვოკატირების ეფექტიან მექანიზმებს და კონვენციის განხორციელებისთვის აუცილებელ სამართლებრივ გარანტიებს შეუქმნის. იმავდროულად, იგი უზრუნველყოფს გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭოს მიერ უნივერსალური პერიოდული მიმოხილვის (UPR) რეკომენდაციებით აღებული ვალდებულებების შესრულებას, რაც ხელს შეუწყობს საქართველოს იმიჯის ამაღლებას და ქვეყნის ევროინტეგრაციის გზაზე გადადგმული მნიშვნელოვანი ნაბიჯი იქნება.

საქართველომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის“ რატიფიცირებით განაცხადა, რომ ამ პირთა სამოქალაქო ინტეგრაცია და მათთვის თანაბარი შესაძლებლობების შექმნის უზრუნველყოფა ქვეყნის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია. აღნიშნული პრინციპის განსახორციელებლად ყველაზე თანამიმდევრული, ქმედითი ნაბიჯი სწორედ ამ კონვენციის ფაკულტატური ოქმის რატიფიცირება იქნება.

იმისათვის, რომ საქართველომ უფრო ეფექტიანად შეუწყოს ხელი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების რეალიზაციას და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციით“ გათვალისწინებული პრინციპებისა და ღირებულებების სრულფასოვან განხორციელებას,

„საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის პირველი და მე-3 პუნქტებისა და საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 193-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

1. საქართველოს მთავრობას მიეცეს რეკომენდაცია, დაიწყოს კანონით გათვალისწინებული პროცედურები გაერთიანებული ერების ორგანიზაციის

„შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის“ ფაკულტატური ოქმის საქართველოსთვის შესასრულებლად სავალდებულოდ აღიარების მიზნით.

2. ეს დადგენილება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

საქართველოს პარლამენტის
თავმჯდომარე არჩილ თალაკვაძე

თბილისი,
2020 წლის 23 ივნისი.
№6406 – IIს